განკარგულება:**გ-31. 31243597**
თარიღი:**24/12/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №64

2024 წლის 24 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ეთერ ხუტულაიშვილისათვის (პ/ნ 26001011837) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ეთერ ხუტულაიშვილს (პ/ნ 26001011837) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით,2 (ორი) წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, სოფელ ჩოჩხათში მე-4 ქუჩა N45 მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.018 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 36,84 კვ.მ. ფართი.

მუხლი 2. პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საბაზრო ღირებულების 6 704,88 (ექვსიათას შვიდასოთხი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარის 23%-ის ოდენობით - 1542,13 (ათას ხუთას ორმოცდაორი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი